საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030420201265520

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/13082 **17 / ივნისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს, ბატონ ბექა ჯაყელს

ბატონო ბექა,

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ნოემბრის N01-342/ო ბრძანების პირველი მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2020 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებულ გეგმას დანართის მიხედვით. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

1. სააგენტოს ესაჭიროება სააგენტოს ბალანსზე რიცხულ რიგ ავტომანქანებს ესაჭიროებათ საბურავების შეძენა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის, ბატონი ზაზა ჭანტურიას N04-4373 მოხსენებითი ბარათის თანახმად, საჭიროა საბურავების შესყიდვა:

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმას დაემატა CPV კოდი 34324000 (ბორბლები, ნაწილები და აქსესუარები; რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 42) და მისი ღირებულება განისაზღვრა 5,000 ლარით.

2. მოგახსენებთ, რომ სააგენტო 2020 წლის 17 მარტის საქართველოს მთავრობის N176 დადგენილებით შესული ცვლილებებით განსაზღვრული ,,ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19 მართვის'' სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2020 წლის 16 აპრილს სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ინდივუდუალურ მეწარმეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, ხორციელდება ,,დიალიზი და თირკმლის ტრანსპლამტაცია'' სახელმწიფო პროგრამის, ჰემოდიალიზის კომპონენტის მოსარგებლე პაციენტთა, მომწოდებლის მფლობელობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების უზრუნველყოფა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის, ბატონი ზაზა ჭანტურიას N04-4258 მოხსენებითი ბარათის თანახმად, საჭიროა მომსახურების შესყიდვა:

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმას დაემატა CPV კოდი 60100000 (საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები; რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 56) და მისი ღირებულება განისაზღვრა 15,000 ლარით.

დანართი: სახელმწიფო შესყიდვების გეგმა - Excel-ის ფორმატის 1 (ერთი) ფაილი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დირექტორის მოადგილე ლევან გოგოძე